



# • ნიჟანი

გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.



მ ზ ე: რის ღამის დარაჯი ხარ, საღ იყავი, ეს ხალხი ციდან ვარსკვლავებს რომ წყვებდა? მთ ვარა: რა მემნა, დღეული ვიყავი!

ღიღივნი  
ქნსუიის  
**XXIII**  
ყლილოკან!

**წიხ აოგუნიგეილსაენ !**

МИРУ-МИР





მოდრაობის წესები იცით? არ იცით? მაშინ ნუ ჯდებით საჭესთან! ვიდრე მანქანას აამუშავებდეთ, აამუშავეთ საკუთარი გონება და გადახედეთ მოძრაობის წესებს! უმჯობესია, თუ ამას ფხიზელ მდგომარეობაში გააკეთებთ!

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, მოძრაობის წესებს რა დიდი ცოდნა უნდაო! მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო 1965 წელს საქართველოში რესპუბლიკურმა ავტონისპექციამ ათასობით სხვადასხვა სახის დანაშაული გამოავლინა. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

\* \* \*  
„ღვინოს დავლევ, წყალს არა...“  
ხალხური.

გიორგი ჭიბრიშვილი ბოლმისგან გაბოროტებული კი არ სვამს ღვინოს, პირიქით — საქმე კრიალოსანივით აქვს აწყობილი: „თბილვაჭრობის“ № 5 მაღაზრის სექციის გამგედ მუშაობს. დაამთავრებს თუ არა მუშაობას, გადაჰკრავს ალკოჰოლის მოზრდილ ღოზას, დადგება სეირნობის ხასიათზე და დააქროლებს თბილისის ქუჩებში „მოსკვირ“ ГРФ-96-94-ს. ასე გადაჰკრა ხუთ თებერვალსაც და ავტონისპექტორები დაბარებულებივით დაადგნენ თავზე. გადაკრული იყო გიორგი და გადაკრულად დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ არაფერმა უშველა. ახლა უკვე აღარ ედავებიან ჭიბრიშვილს მილიციის მუშაკები. სვას, რამდენიც უნდა!..

ჯანგირ იმამ-ოღლი ნაბიევი ერთი ალალი კაცია, სართიჭალოს საბჭოთა მეურნეობის საწყობი აბარია. როგორ უყვლის? როგორ უყვლის არ ვიცი, არც ის ვიცი, როგორ იყიდა ავტომანქანა „ვოლგა“, არც ის ვიცი, მას ეკუთვნის ეს „ვოლგა“, თუ ვინმე სხვა ნაბიევს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცი, რომ ჯანგირ იმამ-ოღლის, დაღვეის შემდეგ, საჭესთან დაჯდომის უყვარს, გავლა-გამოვლა უყვარს, კარგი ცხოვრება უყვარს, სიმღერა უყვარს და მღერის: „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, მშობილო?“ ყური მოჰკრეს ავტონისპექციის მუშაკებმა ამ სიმღერას და უთხრეს: როგორ არ გვიშლი, ჯანგირ, გვიშლი ნერვებს, რადგან შთვრალი კაცი და საჭე ერთად ხიფათია, ამიტომ, ვიდრე ღვინის სმას არ გადაეჩვივი, საჭესთან დისტანცია დაიჭირო.

თეთრიწყაროელი ზაურ მაისურაძე ღვინოს წყაროსავით ეწაფება, მაგრამ ისეთი „გასამართლებელი საბუთი“ აქვს, რომ ვერავინ შეედავება: სოფელ ორბეთში რესტორნის დირექტორი ვარ და მე თუ მაგალითი არ ვუჩვენებ მუშტრებს, მაშ, რა დირექტორი ვიქნები ან გეგმებს როგორ შევასრულებო. ჰოდა, ერთი წლით გა-

დააყოლა კიდევ თავისი „პობელა“ გეგმის შესრულებასა და „პარი-პარალელს“.

ალექსანდრე მირონის ძე ალაგეზოვზე ამბობენ, საკუთარი სამსახურივით ტკბილი კაციაო. ალექსანდრე მარნეულის საკონდიტრო წარმოების უფროსია. აცნობს ტკბილეულს და ტკბილ ცხოვრებასაც იცნობს. მარნეულში ხომ ბევრი მეგობარი და მეფარველი ჰყავს, არც ლენინგრადში აკლია ძმა-ბიჭები.

ალაგეზოვმა თავისი ლენინგრადელი „მეგობრის“ — ალექსანდრე აბრამის ძე უმანსკისგან ავტომანქანა „ვოლგა“ ЛЭИ-90-11 „ითხოვა“ და ახლა ყოველთვიურად იღებს ლენინგრადიდან მინდობილობას „ნათხოვარი“ ავტომანქანის ტარების უფლებაზე. გასული წლის 18 დეკემბერს ალაგეზოვმა უმანსკის სადღეგრძელოები შესვა, კარგად გამოთვრა და ავტონისპექტორთა უნდობლობა დაიმსახურა: ტარების უფლება ჩამოართვეს.

საინტერესოა, იქნებ მას სხვა უფლებებიც აქვს ჩამოსართმევი?! ავტონისპექციამ ერთი წლით საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისა და მაგარი სასმელების მიღების უფლება მიანიჭა რუსთაველ დალაქ გიორგი მამისაშვილს, მეტალურგიული ქარხნის წარმოების უფროსს გივი ავალიანს და კიდევ ბევრ სხვას...

\* \* \*  
„ავტომანქანა ფუფუნებაა კი არა, გადაადგილების საშუალებაა...“  
ოსტაპ ბენდერი

ვლადიმერ ერვანდის ძე სარუმოვს ცხოვრება რომ არ უჭირს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საკუთარი მანქანით არაერთხელ გადაუსერავს თბილისის ქუჩები. მაგრამ ზედმეტი მანეთი ვის გადაუღვია? დაღის ვლადიმერი და... — სად გნებავთ, ბატონო? სად გურზე? სიამოვნებით! სამი მანეთი დაჭირდება, მა ტაქსი ხომ არ არის, კაპიების გულისთვის ვიარო?!  
ეს რომ ერვანდამ გაიგო, გაიღიმა და თავისთვის ასე ჩაილაპარაკა — ყოჩაღ, შევილოჯანი! მეც ხომ ცხოვრებაში ფულის შოვნის მეტი არაფერი მიკეთებია! სწორედ ამაზე ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო...

გიორგი ნამოევს კი „ხალტურაზე“ სიარული პროფესიად აქვს გადაქცეული. ესლა აკლია მხოლოდ, რომ თავისი ავტომანქანა ГРХ-84-16 ტაქსივით ააჭრელოს და მრიცხველიც დაიდვას.

გიორგი არაერთხელ შეამჩნიეს მეზავრების „მაღალ დონეზე“ მომსახურებაში, ახლო მომავალში კი, ალბათ, თვითონ მას მოემსახურება სახალხო სასამართლო. გიორგი ნიკოლოზის ძე რევაზოვი სასწრაფო დახმარების ავ-

ტომანქანის მძღოლია. მას ერთი პრინციპი აქვს — სასწრაფოდ მოემსახუროს ჯანსაღ ხალხს საკუთარი „მოსკვირით“ — ГРФ-73-21. ამისთვის არცთუ ისე დიდი თანხა საჭირო; თუმცა, გააჩნია, რა მანძილია გასავლელი.

მეზავრების „ქველმოქმედურ“ მომსახურებაზე არც მელორ მართაშვილი, რემო შაქარიანი და ავთანდილ მარქარაშვილი ამბობენ უარს. პირიქით, დადიან, დადიან გაუთავებლად და თან „ლაშაზ გოგოას“ სიმღერას მღერიან:

„სანადიროდ როცა წავალ, ხან მეგვს მოვკლავ, ხან ტურას, მე შოფერი მოსთვის მიყვარს, გააკეთებს ხალტურას“.

\* \* \*  
„ბრიყვი მიუშვი ნებასა!..“  
ხალხური.

გურამ ჭოხონელიძე ახალგაზრდა კაცია და სისხლი ავტომანქანის ძრავაში აღუღებელი წყალივით უთუხთუხებს. მიუშვეს სადავეებს და სასწაულს ახდენს: ავტომანქანა კი არ მიჰყავს, არამედ მიაფრენს. ასე იყო 1963 წელსაც — გააფრინა და... უბედური შემთხვევა! თვითონ უვნებელი დარჩა, მაგრამ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სასამართლომ ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯა და, სასჯელის მოხდის შემდეგ, ექვსი თვით ტარების უფლება ჩამოართვა.

ეტყობა, გურამის ახალგაზრდობა მიიღეს მხედველობაში და, ოთხი წლის ნაცვლად, ორ წელიწადში გაათავისუფლეს...

ცაგერის რაიონის ავტოგარაეის ხელმძღვანელობა ხელგამლით შეხვდა ჭოხონელიძეს და იმწამსვე ჩააბარა თავისი ყოფილი ავტომანქანა. ზუსტად თვენახევრის შემდეგ, ისევ გააფრინა ავტომანქანა ტვიშის ღვინის ქარხნიდან ორბელის ღვინის ქარხანაში და ისევ უბედური შემთხვევა! მხოლოდ, ამჯერად, ოთხი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა! ახლა, რა თქმა უნდა, გურამ ჭოხონელიძე სასამართლოს წინაშე წარსდგება და პასუხს აგებს, მაგრამ ვის წინაშე აგებენ პასუხს ის ადამიანები, რომლებმაც თვითნებურად დაარღვიეს სასამართლოს გადაწყვეტილება და ჭოხონელიძე მანქანის მართვის უფლების გარეშე დასვეს საჭესთან?

\* \* \*  
ნიანგი წუხს იმის გამო, რომ ყველა დამნაშავე ვერ „გააჭრელა“ თავის ფურცლებზე. მწუხარებასთან ერთად, ნიანგი დაბეჭივით აცხდებს, რომ არაერთხელ დაუბრუნდება ამ მეტად სერიოზულ საკითხს და არაერთხელ „მოესიყვარულება“ თავზეხელაღებულ მძღოლებს!

საბჭოთავო  
ბიულეტენი

ტრესტის მმართველს მოესურვა  
ხელქვეითი ხალხის კრება.  
რა სჯა უნდა, ანდა ურგა?  
მოიწვევს და ის იქნება!  
— რვაზე! — უთხრა მოადგილეს.  
— არის!.. — კიდევ რაღაც ვერ თქვა,  
მაგრამ საქმეს აადვილებს —  
ბრძანა: მდივანს დაერგა  
და კლუბისთვის გადაეცა,  
შვიდზე კრება შედგებო.  
მდივანს ეჭვის ელდა ეცა,  
დაგვიანდეს, ეგებო!  
დაურგა კლუბის გამგეს:  
— ეჭვსზე შეკრებ ამხანაგებს!  
ჩაიცინა გამგემ: როდის?!  
მქვსზე ეტყვი, შვიდზე მოდის!  
და ადგილკომს დაურგა:  
— ხუთზე ჩვენთან არის კრება,  
ზუსტად! ისე არ იქნება!  
ადგილკომმაც გამოაკრა  
მოწოდება-განცხადება:  
ოთხ საათზე ტრესტის კლუბში  
ტრესტის გამგე მოდის დღეს.  
შინ არის თუ სამსახურში,  
კრებას არგინ დააკლდეს.  
დღეს გადადეთ ყველა საქმე!  
ოთხის ოცზე — კლუბისაკენ!  
მართლაც, ზუსტად ოთხ საათზე,  
კლუბი ხალხით იყო სავსე.  
ხუთია და კრება არ ჩანს.  
გადის ეჭვისი. გადის შვიდიც...  
და რვისათვის, ვინც კი დარჩა,  
ბუზღუნებს და სახლში მიდის.  
ცხრაზე მოსულ მმართველს გულზე,  
ახლაც აწვევს ეჭვის სევდა.  
ყველას მრუდე თვალით უმზერს,  
უკვირს, კრება რომ არ შედგა.

ნესტორ მაღაზონია



ნ. ლომუხანი

— თანდომ! ამ გახურებულ მუშაობის დროს რამ ჩამოვიყვანა ქალაქში?  
— რა ვქნა, ჩემი კოლფობრები ყველანი ამ არიან და კრება მიხდა მოვიფიქრო!

# კარაქიანი კახაბერი

მალა კაცს საშინლად შეწუხებული ხახე ჰქონდა, ორივე ილიაში უანგბადის ბალიშები ამოეჩარა და გრძელი ნაბიჯებით მიიჩქაროდა შუა ქუჩაზე.

„მერე რა, რომ უცნობია! კაცს გასაჭირში უნდა დაეხმარო, თორემ გაწყობილ სუფრასთან ყველა მაგარი!“ — გავფიქრე და მანქანა მალა კაცის ცხვირწინ დავარქვე.

— შენ ავაშენა ღმერთმა, შენ ავაშენა! — ახმახმა ჭერ ბალიშები შემოყარა მანქანაში, მერე ჭაყვასავით დაიკეცა და უკანა სავარძელში მოკალათდა. — ახლა კი ნამდვილად მივუსწრებთ, აბა, რაღა იქნება...

კიბეები სულმოუთქმელად ავირბინეთ. ახმახმა ერთი ბალიში მე მომაჩერა და ვეება ცერის მიტერით ელექტროზარს გაბმული წკრიალი აატეხინა. კარები გაიღო, რამდენიმე შეშფოთებული კაცი ერთად მოაწყდა ზღურბლს. შემოგვძახეს:

— სადა ხარ, კაცო, ამდენ ხანს!

— სწორედ ამას ჰქვია სულზე მოსწრება!..

შევედით. სულთმობრძავი ავადმყოფის დანახვის მოლოდინში გაფაციცებით მოვავლე თვალი ოთახს. შუაში ხორაგით დატვირთული მაგიდა იდგა. სუფრას მხოლოდ ღვინო აკლდა...

ვიდრამ გრაფინი მიუშვირა უანგბადის ბალიშს და იქიდან ლალისფერმა სითხემ იჩქარია.

— შენ გენაცვალე!.. ესაა კაცს რომ აცოცხლებს, უკვდავების სულს რომ ჩაბერავს! — აღტაცებით უციმციმებდა თვალები ახმახს.

ქეიფი შუალამედის არ შეგვიწყვიტა.

თ. ხალუაძე

## განკრონობენ

მყიდველი: მე ერთი კილო შოკოლადი გთხოვ, თითები რომ დააწონე, შენი თითები რად მინდა?!

გამყიდველი: შენ ხომ არ გგონია, ეს თითები ყველა ჩემია?! ეს ჩვენი გამგის არის; ეს — მისი მოადგილის; ეს შუა თითი — იმ აყლაცუდა სექციონერის; ესეც — საწყობის გამგის; ჩემი მხოლოდ ეს ნეკა თითია!

## სათამაშოების მაღაზიაში

მყიდველი: ეს თოჯინა „დედას“ იძახის?

გამყიდველი: იძახის, მაშ!

მყიდველი: ტირის?

გამყიდველი: ტირილიც იცის!

მყიდველი: თვალებს ხუჭავს?

გამყიდველი: რა თქმა უნდა!

მყიდველი: ხელებს ამოძრავებს?

გამყიდველი: არა, ბიჭო, ოთახს დაგილაგებს და ბაზარში გაგეგზავნება!

ნ. ხუნწარი




# დიდხალა



ნ.ბ. მ. აბაშიძისა

— შენმა თანამოგროვლებმა მითხრეს, სასახურში უხე-  
შობს. ღრიალებს... ვაჟბაძე კი ხარ. მაგრამ მთლად კი ნუ  
გაბიჯებ თავს!



ნ.ბ. დ. პარისტავისა

— ბატონო შალვა, მართლა აღარ წახვალთ  
წელს ფეხბურთზე?!

— კაცო, ესენი ფეხებს უფრთხილდებიან და მე  
გულს აღარ გაგუფრთხილდე?

შეხედავ კაცს და კაცია თითქოს,  
ლაპარაკობს და კიდევაც ფიქრობს,  
მაგრამ ატარებს საძაგელ მიკრობს,  
გაფრთხილებთ ყველას—  
არ მიეკაროთ!

ატარებს მიკრობს, რომელმაც კაცი  
უნდა დაღრღნას და უნდა აწამოს,  
ამოსუნთქვასაც კი აღარ გაცლის,  
მოფიქრებაც კი არ სურს გაცალოს.

უნდა რომ მართო მისი გგეროდეს,  
უნდა რომ მართო მას გადაეგო;  
თუ არ გსურს, მაინც უნდა მღეროდე,  
უნდა მღეროდე, ხმაც რომ არ გეყოს.

მას უნდა, — იგი ადიდო მუდამ,  
იგი თავისთავს შეჰხარის მართო,  
ეცოტაგება სამყარო ქუდად,  
ბევრი აქვს, მაინც კიდევ მეტს ნატრობს.

ყრმობის მეგობარს არც გიცნობს, თითქოს,  
რადგან ზურგი აქვს მაგრად დაცული.  
ერთი შეხედვით, კაცმა რომ მკითხოს,  
ასეთ კაცს. აბა რა აქვს კაცური?!

ნიკოლოზ ჩაჩავა

## ფოსტაში

— ზინა, შენი ჭირიმე, სამძიმ-  
რის დეპეშა მაქვს გასაგზავნი სო-  
ხუმში, რამდენ ხანში ჩავა?  
— ორ საათში მაინც მიიღებენ!  
— აგაშენა ღმერთმა ელვა რომ  
გაგზავნოს კაცმა, ხომ იცი, სამ-  
ძიმრისაა. რამდენ ხანში ჩავა?  
— ნახევარ საათში მაინც.  
— აგაშენა ღმერთმა ზინა, შენი  
ჭირიმე, გამიგზავნე ეს დეპეშა  
იუოხ, ელვა იუოხ!  
— ხაზი არაა!

— რა?  
— ხაზია დაზიანებული, არ მუ-  
შაობს-მეთქი!  
— მაშ, რა ვქნა, შე ქალო, ხომ  
შევრცხვი?  
— გააგზავნე დეპეშა: ხაზია  
დაზიანებული და სამძიმრის დე-  
პეშას ვერ გიგზავნით-თქო...  
— აგაშენა ღმერთმა ა, რა  
თქვი?!..

ა. გურბენიძე,

## უცხოური იუმორი

იუნსტონ ჩერჩილმა ასალგაზრდობაში გამოაქვეყ-  
ნა რომანი, რომელზედაც შემდეგ თქვა: „ჩემს ნამდ-  
ვილ მეგობრებს ვურჩევ, ნუ წაიკითხავენ მას“.

მეორე მსოფლიო ომის დროს, დიუკერთან დამარ-  
ცების შემდეგ, ჩერჩილი რადიოთი გამოვიდა და გა-  
ნაცხადა: „ჩვენ ვიბრძობებთ ზღვებსა და ნაპირებზე,  
ვიბრძობებთ მთებსა და ქუჩებში!“ მერე ხელი დაა-  
ფარა მიკროფონს და თავისთვის ჩაილაპარაკა: „და  
ფურტყამთ მტერს თავში... ლუდის ცარიელ ბოთლებს,  
რადგანაც ეს ერთადერთი იარაღი შემოგვრჩა ამჟა-  
მად“.

ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მაკდონალდ-  
ზე ჩერჩილმა თქვა: „როგორც არავის, მას შესწევს  
უნარი მინიმალური აზრებიდან სიტყვების მაქსიმუ-  
მი ამოქაროს“.

რუსველტ-ჩერჩილის მორიგი საუბრის შემდეგ,  
აშშ-ის პრეზიდენტი შემთხვევით შევიდა სააბაზანო-  
ში, სადაც ჩერჩილი შხაპს იღებდა. რუსველტის ბო-

დიშები ჩერჩილმა ღიმილით მოისმინა და უთხრა:  
„მობრძანდით, მობრძანდით! ინგლისს არაფერი აქვს  
დასამალი!“.

ჩერჩილი ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად. პა-  
რიზის გათავისუფლებისადმი მიძღვნილი სიტყვა მან  
ასე დაიწყო: „ყურადღებამ! მე ვილაპარაკებ ფრანგუ-  
ლად. ჩემი ასეთი დიდი რისკი მითხროვს თქვენი მე-  
გობრული გრძნობების დამტკიცებას დიდი ბრიტანე-  
თის მიმართ!“

თავის ლეიბორისტ მეტოქე კლემენტ ეტლზე ჩერ-  
ჩილმა ისუბრა: „დაუნებ სტრიტზე, პრემიერ-მინისტ-  
ტრის რეზიდენციასთან, გაჩერდა ცარიელი ტაქსი და  
იქიდან გადმოვიდა... კლემენტ ეტლი“.

ასალგაზრდა ჩერჩილს დედამისის მეგობარმა ქალ-  
მა უთხრა: „საყვარელო უინსტონ! მე მძულს თქვენი  
პოლიტიკური შეხედულებები, მაგრამ ეს სიძულვილი  
არააბობაა თქვენი საშინელი უღვაწეობით გამოწ-  
ვეულ სიძულვილთან შედარებით!“ „მშვიდად ბრძან-

დებოდეთ, ქალბატონო, — უპასუხა ჩერჩილმა, —  
არავითარ შემთხვევაში არ მოგიხდებათ რაიმე კონ-  
ტაქტის დამყარება არც ერთთან და არც მეორეს-  
თან!“

ლუდი ასტორმა, პირველმა ქალმა, რომელიც თემ-  
თა პალატაში აირჩიეს, ერთხელ სიტყვა შეაწვე-  
ტინა ჩერჩილს და შესძახა: „მე რომ თქვენი ცოლი  
ვიყო, აუცილებლად ჩაგიყრიდით დარბაზის ყაფა-  
ში!“ „მეც აუცილებლად დავგეგვი იმ ყაფას, თქვენი  
ქმარი რომ ვიყო!“ — უპასუხა ჩერჩილმა.

ბენარდ შოუმ ჩერჩილს ასეთი შინაარსის დეპეშა  
გაუგზავნა: „გიგზავნი ორ მოსაწვევ ბარათს ჩემი პიე-  
ტის პრემიერაზე დასასწრებად; მოდი და მოიყვანე  
მეგობარი, თუკი, საერთოდ, გყავს ასეთი“.  
ჩერჩილმა შეუთვალა: „პრემიერაზე დასწრება არ  
შემიძლია, მოვალ მეორე სპექტაკლზე, თუკი ასეთი  
რამ შედგება“.

თარგმნა ნ. დარასხველიძემ

(არაკი)

ლომისგან, ვეფხისგან  
კარგა მოშორებით,  
მდინარის ნაპირას, ცხოვრობდა დათურა.  
უდაბურ უსიერს ტორავდა ზმორებით  
და დაუჩაგრავი არავინ გადურჩა.

არავინ გადურჩა, რადგან ასლომასლო  
იმისი მომრევი ვერავინ აღმოჩნდა.  
ყველას გასაგონად, ყველას დასანახად  
დათომ შემოიღო ასეთი გამოცდა:

გამოიძახებდა მელას, ან მგელუკას,  
წამოაჩოქებდა მხეცური ჟინით და  
რაც უნდა ეხვეწა, რამდენიც ელოკა,  
მაინც ძმარს ადენდა, საცოდავს ცხვირიდან.

ზურგს მოახტებოდა, ბრძანებას გასცემდა:  
— სწრაფად გადასცურე ვრცელი მდინარეო,  
ხმა არ ამოიღოს არავინ, არცერთმა,  
მაჩვს რომ ვაპატიე, ისიც ვინანუო.

ასე და ამგვარად, ჯალათს დაემსგავსა,  
ყველას ერუდა, ყველას აშინებდა,  
„ქვეყნის ჩემბიონის“ გზა რომ გაეკვალა,  
ის უკან დახევას აღარ აპირებდა.

დაფიქრდნენ მხეცები და თვალთა ცეცებით  
გზის ძებნა დაიწყეს სხვაგან გასაპარად.  
დღე რომ ვერ ბედავდა გაქცევის ვერცერთი,  
ღამე მიძვრებოდა კვალის დასაფარად.

ყველა გაიძურწა ღამის სიჩუმეში,  
ვინ საით წავიდა, ვინ—რომელ მხარეზე,  
ყველა გაპარა და რაღაც ერთ თვეში  
ზღარბი—ღა შემორჩა იმ არემარეზე.

დათვმა ჩვეულებას ვეღარ უღალატა,  
(ასეთის დაძლევა როდია ადვილი),  
ზღარბს გამოუძახა, ზურგზე შემოახტა...  
და მთლად დაიჩხვლიტა სასკამე ადვილი.

სკამზე გამასუნდა: იმ ქვეყნად, იმ მხარეს  
ასლაც წესადაა (ასე შემიტყვია),  
ვინმე პატარა რომ მოზრდილს გაამწარებეს,  
„ზღარბზე დაბრძანდით“, ხუმრობით იტყვიან.

**2. ივანიშვილი.**



ნ.ბ. მაღალაშვილი

— კაღრების განყოფილებაში უარი გავითხრეს — ორი ძმა ერთ მაღალაშვილი არ უმიძღვებო.  
— თუ სამი ძმანი ბურულაბი ყანა ზი უმიძღვება, მაღალაშვილ რა ღაყაყაყა?

ივანიშვილი

**ჩემი საბრალო, საყვარელი მეზობელი და სტუმარ-მასპინძლობა**

ერთი მეზობელი კაცი მყავს. ალალ-მართალი და პატიოსანი კაცი იყო. იყო რას მიქვია, კი არ მომკვდარა, მაგრამ ერთი ამბავი შევებთხვა და ის მინდა მოგიყვებო. ამასწინათ, ზღვაზე იყო დასასვენებლად. იქ ერთი კაცი გაუცვნიდა. კარგი დრო უტარებდათ, კარგად დაუსვენიათ. წამოსვლისას ამ ჩემს მეზობელს თავისი მისამართი მიუცია, ჩამოდი ჩემი ოჯახი ნახეო. იმ კაცს დიდი თავაპატიო არ გაუდგია. დროსთან ერთად, ფულიც უშოვნია და სტუმრად ეწვია. ძალიან გაუხარდა ჩემს მეზობელს. ჯერ სახელდახელო საუხზე გაუწყო; ეს რეპეტეციაა, ქეიფი მერე ნახეო. მეორე დღიდან თან გადაყვა. ეს მთწმინდაა, ეს თბილისის ზღვაო, ეს გელათი, ეს მცხეთაო. მერე, ჩვენი ამბავი ხომ იცით, სადაც მიუყვანია, კარგი პურ-მარლი გაუმლია. ავი გითხარით, პატიოსანი კაცი იყო და, რა დასამალია, ცოტა ვალიც დაედო, მაგრამ გული არ წყდებოდა: ფული რა არის, კარგი კაცისთვის რომ დამენახოსო. ერთი სიტყვით, ერთი კვირის შემდეგ სტუმარმა, მართალია, ბევრი არა, მაგრამ მაინც მოიმატა წონაში. წასვლის წინ სახლში გაატანა საჩუქრები: ხილი

და ხაჭაპურები, ცოტა ღვინოც. გულში უხაროდა, კიდევ კარგი. რითაც შემედლო პატივი ვეციო. მერე სტუმარს თხოვა, თუ არ დაგეზარება, ერთი წერილი მომწერე, ერთმანეთს ნუ დაგვარგავთო. თვეში ერთი წერილი რომ გამოგზავნო, პასუხს მეც მოგწერო.  
ერთი თვე არა, მაგრამ ერთ კვირაში მოვიდა... უწყება, გამომძიებელი იბარებდა ჩემს მეზობელს. წავიდა კაცი. გზაში ფიქრობდა, სად მე და სად ძიებო, ალბათ, რაღაც შეცდომასო. მაინც მივიდა და რაც იმან იქ მოისმინა, ჩემს მტერს: უჩივლია იმ პატივმცემ სტუმარს: ამ კაცს ამდენი შეძლება ვინ მისცა, ეტყობა, რაღაც ზედმეტი შემოსავალი აქვს, თორემ მართლ ჯამაგირით ამდენ პატივს ვერ მცემდაო. ნაცემივით წამოვიდა სახლში. რა თქმა უნდა, ცუდი, ამის მეტი, არაფერი მომხდარა, გაიკითხ-გამოიკითხეს, დარწმუნდნენ მის პატიოსნებაში და ეს უთხრეს: ბაბაია, არც ძალიან გადაყოლა ვარგაო!


**8. ბერაძე**

მთავარი რედაქტორი **სარედაქციო კოლეგია: ბ. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ნ. დუბაძე**  
გ. ნიშნიანიძე, ნ. შევლიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კა. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“.  
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, ხაერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 13/IV-1966 წ. ქალ. ზომა 70x103 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კა ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1278 უფ 03000 ტირაჟი 50000



„ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დე-  
პარტამენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აქვთ სამხრეთ ვიეტ-  
ნამში მცენარეებისა და ნათესების ქიმიური საშუალებებით განად-  
გურების „პროგრამა“ იმ მიზნით, რომ სურსათის წყაროები მოუს-  
პონ ვიეტნამელებს. აი, ამერიკის იმპერიალიზმის ნამდვილი სახე!“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილო-  
ბაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აშხ.  
ვ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებიდან)

— ამ ლაქას ვერ მოიშორებთ, სარ!